

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ 2019 წ. ოქტომბრიდან

2020 წ. ოქტომბრის ჩათვლით

სარგვეშის თემა: სარგვეში, მირონწმინდა, საბე, ხორითი

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მივიღე მონაწილეობა საკრებულოსა და ბიუროს სხდომების მუშაობაში. ვარ განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი. სისტემატურად ვესწრები კომისიის სხდომებს.


აქტიურად მაქვს კონტაქტი თემის მოსახლეობასთან ინდივიდუალურად, რაც უკეთესია პრობლემების გარკვევაში და დახმარების აღმოსაჩენად.

მოცემულ პერიოდში თემში განხორციელებული სამუშაოები:

1. აქტიურად მიმდინარეობს ღორეშა, სარგვეში, ბაზალეთის 11 კმ-იანი გზის მშენებლობა, უკვე დაგებულია 9 კმ-ზე მეტი ბეტონი, დარჩენილია დაახლოებით 3,5 კმ.
2. სოფელ ხორითის ცენტრალური გზის და ცისკაძეების საუბნო გზის მშენებლობა შეჩერდა, მშენებელმა სათანადოდ ვერ განახორციელა დაკისრებული მოვალეობები.
მოხდა სამუშაოების გადაფასება, დაემატა დაახლოებით 100 000 ლარი.
ტენდერი დასრულდება 30 ოქტომბერს. ხორითის თანხა 203 000 ლ.
ცისკაძეების საუბნო გზა 450 000 ლ-მდე.
3. სოფელ ხორითში დასრულდა საავტომობილო ხიდის მშენებლობა (32 000 ლ.)
4. სოფელ ხორითში დაიგო 1,5 კმ. ცენტრალური გზა (250 000 ლ.)
5. სოფელ მირონწმინდაში დასრულდა საუბნო გზის მშენებლობა (47 000 ლ.)
6. დასრულდება ცისკაძეების უბანში ბოგირის მშენებლობა (28 000 ლ.) სტიქიის თანხით.
7. აქტიურად მიმდინარეობს მირონწმინდაში ცენტრალურ გზაზე ხიდის მშენებლობა.
8. სოფელ საბეში დასრულდა ხიდ-ბოგირის მშენებლობა (19 000 ლ.) სტიქიის თანხით.
9. 3 სოფელში მოეწყო გარეგანათება, სოფლის განვითარების პროგრამით.
10. სარგვეშის სკოლისა და ბაღის შენობებში მოეწყო სველი წერტილები.
11. სკოლის შენობაში ალტერნატიული წყლის სისტემის მოსაწყობად გამოიყო მიწები, მიმდინარეობს სამუშაოები.
12. სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემის გასაუმჯობესებლად სარგვეშის თემს მუნიციპალიტეტის მერიისგან გამოეყო 4 500 მ. წყლის მილი.
13. ინფრასტრუქტურული სამუშაოების საწარმოებლად თემიდან დასაქმდა 20-მდე მაცხოვრებელი.

14. რამდენიმე სახლი გაქირავდა და ოჯახებს გაუჩნდა დამატებითი შემოსავალი.
15. სოფელ საბეში სატელეფონო კავშირის ცუდად მუშაობის გამო, აქტიურად ჩავერთე სატელეფონო ქსელ „მაგთთან“ მოლაპარაკებაში, გადაწყდა საბეში ანძის დადგმა.
16. თემის რამდენიმე ოჯახში მოეწყო VF (ინტერნეტი).
17. გაიცა ერთჯერადი დახმარება დაახლოებით 80 ოჯახზე.
18. ოპერაცია, კვლევები ჩაუტარდა 8 მაცხოვრებელს.
19. თბილისიდან ჩამოვიყვანე ოფთოლმოლოგთა ჯგუფი შეროზიას კლინიკიდან. გაისინჯა 100-ზე მეტი თემისა და რაიონის მაცხოვრებელი.
20. სოფელ სარგვეშის ერთ-ერთ ოჯახს ცეცხლისაგან დაუზიანდა სახლი. მოვახერხეთ სახლის დაშლა, ადგილმონაცვლეობა და აშენება. გარდა თემში ჩემი მუშაობისა, კონტაქტი მაქვს ხარაგაულის რაიონის მაცხოვრებლებთან, უწევს სხვადასხვა დახმარებებს. ორ სკოლას შევეუძინე პიანინოები ხარაგაულის თეატრს-როიალი წლევეანდელი წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო სარგვეშის თემისათვის, გაკეთდა ბევრი, თანადგომა იგრძნობოდა როგორც ხარაგაულის საკრებულოს ასევე მერიის მხრიდან. მაქვს დაგეგმილი არაერთი აქტივობა. ვაწარმოებ საუბრებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეკრებებზე მოსახლეობასთან, რათა ამაღლდეს სახელმწიფოებრივი ხედვა, მოსახლეობამ გააკეთოს სწორი ანალიზი და მიიღოს მართებული გადაწყვეტილება მომავალ არჩევნებში. ყველა ჩემი აქტივობა და საქმის განხორციელება მიმართულია სახელისუფლებო გუნდთან თანადგომის გამოსახატავად და სოფლის ასაღორძინებლად.

რ. გორგაძე



22.10.2020 წ.